

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, No 6533-III, 22/06/2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 49-ე მუხლის მეცხრე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან კომიტეტის წევრის (წევრების) მოთხოვნით. დღის წესრიგიდან საკითხის ამოღების ან დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სათანადო დასაბუთების საფუძველზე კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით“.

2. 54¹-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 54. ¹სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო

1. კომიტეტს შეუძლია შექმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან.
2. კომიტეტის თავმჯდომარეს ან კომიტეტის წევრს შეუძლია წარმოადგინოს ინიციატივა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის თაობაზე და შესაბამისი კომიტეტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით/დამსწრეთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ.
3. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენა შეუძლია კომიტეტის თავმჯდომარეს, კომიტეტის წევრს, უნივერსიტეტს ან სამეცნიერო-

კვლევითმა ინსტიტუტს, ასევე შესაბამის სფეროში არსებულ პროფესიულ გაერთიანებას ან არასამთავრობო ორგანიზაციას.

4. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს ირჩევს შესაბამისი კომიტეტი კომიტეტის სხდომაზე სიითი შემადგენლობის/დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
5. შესაბამისი კომიტეტი განსაზღვრავს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის წესს.
6. შესაბამისი კომიტეტის ინიციატივით შეიძლება გაიმართოს კომიტეტისა და სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი სხდომა.
7. შესაბამისი კომიტეტი განიხილავს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დასკვნას.
8. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილება უწყდება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ“.

3. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 143-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკანონმდებლო პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებით და პარლამენტისათვის წარდგენით, მათ შორის ელექტრონული რესურსების გამოყენებით“.

4. 145-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება:

- ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:
 - ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი
 - ა.ა.ა) პრობლემა და მისი კავშირი მოქმედ კანონთან;
 - ა.ა.ბ) არსებული რეგულაციის მიმოხილვა და აღსრულების პრაქტიკა;
- ა.ბ) კანონპროექტის მიზანი და შესაძლო შედეგები;
- ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

ა.დ) კანონპროექტის კავშირი მთავრობის სამოქმედო პროგრამასთან და სამოქმედო გეგმასთან (მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში)

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შევსლის თარიღის შერჩევის პრინციპი

ა.ვ) დაჩქარებული წესით მიღების მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილება).

ა.ზ) კანონპროექტის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება, რომლის მომზადების მეთოდოლოგიას ამზადებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის გავლენის მიმართულება შესაბამის ბიუჯეტზე, საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი) შესაბამისი ბიუჯეტის იმ აგრეგატის და გავლენის მიმართულების მითითებით, რომელზეც მოსალოდნელია კანონპროექტის მიღებას ჰქონდეს გავლენა. ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა შესაბამისი ბიუჯეტის შემოსულობებზე, საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი) კანონპროექტის გავლენით შესაბამისი ბიუჯეტის შემოსულობების კომპონენტის ცვლილების, გამოყენებული დაშვებებისა და გავლენის შეფასებისას გამოყენებული მეთოდის მითითებით;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა შესაბამისი ბიუჯეტის გადასახდელებზე, საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი) კანონპროექტის გავლენით შესაბამისი ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტის (საბიუჯეტო ორგანიზაციის მითითებით), მათ შორის მართვასა და რეგულირებასთან დაკავშირებული გადასახდელების ცვლილების, გამოყენებული დაშვებებისა და გავლენის შეფასებისას გამოყენებული მეთოდის მითითებით;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი) კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი) იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზეც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის(ფულადი შენატანის) ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისი მუხლის/ნაწილის მითითებით;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან შესაბამისი დოკუმენტის მუხლის/ნაწილის მითითებით;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან (შესაბამისი მუხლის/ნაწილის მითითებით);

გ.დ) კანონპროექტის მიმართება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) (შესაბამისი მუხლის/ნაწილის მითითებით);

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, ინტერესთა ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), ინტერესთა ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) კანონპროექტის ავტორი;

ვ) კანონპროექტის ინიციატორი“

5. 145-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტები:

„გ) დანართის სახით ყველა შეფასების, რეკომენდაციებისა და შენიშვნების დოკუმენტი, მათ შორის იმ რეკომენდაციების ნაწილშიც, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული კანონპროექტის ავტორის/ინიციატორის მიერ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის კვლევა, ანალიზი და სხვა ნებისმიერი წყარო, რაც საფუძვლად დაედო კანონპროექტის მომზადებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) ინფორმაცია სხვა ინიცირებული კანონპროექტების შესახებ, რომელიც ეხება იდენტური პრობლემის მოგვარებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) სხვა ქვეყნების გამოცდილება მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, გამოცდილების მიმოხილვა, რაც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში“.

6. 145-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ტექნიკური ფორმატი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით“.

7. 146-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“¹ და „გ“² ქვეპუნქტები:

„გ)¹ წამყვანი კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას განსახილველი კანონპროექტი კონსულტაციის მიღების მიზნით გაუზავნოს მოცემულ სფეროში მომუშავე პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

გ)² წამყვანი კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას განსახილველი კანონპროექტი საჯარო კონსულტაციის მიღების მიზნით გამოაქვეყნოს პარლამენტის ვებ-გვერდზე საჯარო კონსულტაციების განყოფილებაში. წამყვანი კომიტეტი განსაზღვრავს საჯარო კონსულტაციის წარდგენის გონივრულ ვადას“.

8. 147-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹, 2¹ და 8¹ პუნქტები:

„1¹. არანაკლებ 30000 ამომრჩევლის ინიციატივით კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით, შესაძლებელია საინიციატივო ჯგუფის მიერ 177-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განცხადებით და თანდართული დოკუმენტაციით პარლამენტისთვის მიმართვა და კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით.

2¹. პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი, 177-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ საინიციატივო ჯგუფისათვის სარეგისტრაციო მოწმობის გადაცემის შემდეგ, უზრუნველყოფს პარლამენტის ვებგვერდზე კანონპროექტის და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაციის განთავსებას.

8¹. კანონპროექტის პარლამენტის ვებგვერდზე განთავსების შემდეგ პარლამენტის ვებგვერდზე რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს შესაძლებლობა აქვს პარლამენტის ვებგვერდზე დააფიქსიროს კომენტარი კანონპროექტთან ან მის რომელიმე მუხლთან დაკავშირებით.

9. 148-ე მუხლის 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე და პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და ამ რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნა და დამატებითი ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

10. 148-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნას.

11. 150-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ და 3² პუნქტები:

„3¹. პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე, მისი რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში.

3². საკანონმდებლო წინადადების პარლამენტისთვის წარდგენა შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდის გამოყენებით. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მოთხოვნით, საკანონმდებლო წინადადების გამოქვეყნების შემდეგ, შესაძლებელია დაიწყოს ელექტრონული რესურსების გამოყენებით პარლამენტის ვებგვერდზე საკანონმდებლო წინადადების მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება. საკანონმდებლო წინადადების პარლამენტის ვებგვერდზე განთავსების შემდეგ პარლამენტის ვებგვერდზე რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს შესაძლებლობა აქვს პარლამენტის ვებგვერდზე დააფიქსიროს კომენტარი საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით. პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით საკანონმდებლო წინადადების გამოქვეყნების წესი განისაზღვრება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.“

12. 152-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. პარლამენტის ბიუროსთვის წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს წამყვანი კომიტეტის დასკვნა, ასევე სხვა კომიტეტების, არსებობის შემთხვევაში კომიტეტთან შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრების, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და სხვა უფლებამოსილი სუბიექტების დასკვნები და მათი შენიშვნები პროექტში გათვალისწინებული მდგომარეობის ამსახველი ფურცელი“.

13. 163-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტმა კანონპროექტი შეიძლება განიხილოს და მიიღოს დაჩქარებული წესით მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ზოგადი წესით მისი განხილვა არსებითი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს კანონპროექტით მოსაწესრიგებელი სფეროსათვის“.

14. 163-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი:

„4.¹ წამყვანი კომიტეტი დაჩქარებული წესით განსახილველ კანონპროექტს არ განიხილავს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღეს“.

15. 176-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის განხილვის მიზნით საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია ერთი თვის განმავლობაში აწყობს საჯარო შეხვედრებს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- ა) თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში ტარდება არანაკლებ 11 შეხვედრისა;
- ბ) შეხვედრების ჩატარების გრაფიკი და მისი შესაძლო ცვლილებები წინასწარ ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე შეხვედრის ჩატარებამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა;
- გ) შეხვედრებზე დასწრება თავისუფალია;
- დ) მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია შეიმუშავებს ცვლილებების არსის აღმწერ მცირე ზომის დოკუმენტს, რომელიც დარიგდება შეხვედრების დროს და თავსდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე;
- ე) მოქალაქეთა მოსაზრებების დასაფიქსირებლად საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია შეიმუშავებს სპეციალურ ფორმას, რომელიც დარიგდება შეხვედრებზე და განთავსდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე;
- ვ) საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული სპეციალური ფორმის ელექტრონული შევსება გრძელდება ერთი თვის მანძილზე, საყოველთაო-სახალხო განხილვების დასრულებამდე. სპეციალური ფორმის შედეგად მიღებული

მოსაზრებები აისახება საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემაჯამებელ ოქმში;

ზ) შეხვედრებზე დარიგებული სპეციალური ფორმის შედეგად მიღებული მოსაზრებები აისახება შეხვედრის ოქმში და ასევე საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემაჯამებელ ოქმში;

თ) შეხვედრის ოქმები ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე თითოეული შეხვედრის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

ი) საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემაჯამებელი ოქმი ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესის დასრულებიდან 10 დღის ვადაში;

ი) პარლამენტის აპარატი უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას შეხვედრების ჩატარებისა და შეხვედრების შედეგების შესახებ“.

16. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 177-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹, 3¹ და 3² პუნქტები:

„2¹. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით.

3¹. პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შემთხვევაში, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ საინიციატივო ჯგუფისთვის სარეგისტრაციო მოწმობის გადაცემის შემდეგ, კანონპროექტი, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე ელექტრონული რესურსების გამოყენებით მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების მიზნით.

3². პარლამენტის ვებგვერდზე ხელმოწერის განხორციელების წესი განისაზღვრება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით“.

17. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 275-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ფ¹ და ფ² ქვეპუნქტები:

„ფ¹) პარლამენტის ვებგვერდზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათ შორის კანონპროექტებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, დადგენილებების, რეზოლუციების განთავსება.

ფ²) პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტში პირველიდან მესამე მოსმენამდე შეტანილი ცვლილებების ადვილად დამუშავებად და ხილვად ფორმატში ასახვა“.

მუხლი 2.

1. 2016 წლის 1 სექტემბრამდე პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდეს პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით საკანონმდებლო წინადადების გამოქვეყნების წესი, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ტექნიკური ფორმატი და პარლამენტის ვებგვერდზე ხელმოწერის განხორციელების წესი.
2. კანონპროექტის პირველი მუხლის მე-3, მე-8, მე-9 და მე-14 პუნქტები ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.
3. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

ამომრჩევლების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის საკითხს ართულებს ხელმოწერების შეგროვების პროცესი, როდესაც საინიციატივო ჯგუფს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ევალება 30000 ხელმოწერის შეგროვება. ხელმოწერების შესაგროვებლად საინიციატივო ჯგუფი იძულებულია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი, გახსნას ხელმოწერების შეგროვების პუნქტები, რაც ხშირ შემთხვევაში ხელმოწერების შეგროვებას დროში ძალიან აჭიანურებს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოქალაქეების აქტიურობაზე და მათი მხრიდან მცირდება საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობის მიღების სურვილი. ამავდროულად, საქართველოს მოქალაქეებს არ აქვთ წვდომა ინფორმაციაზე, იმ ინიციატივებთან დაკავშირებით რომელზეც მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება.

ასევე, პრობლემურია საკანონმდებლო წინადადების წარდგენის საკითხი, რადგან არ ხდება მათი პროაქტიული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე. შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის არმქონე სუბიექტებს არ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ პარლამენტისთვის წარდგენილ მიმართვებს. ამავდროულად, არსებული მდგომარეობით დაინტერესებულ პირებს თუ სუბიექტებს არ აქვთ საშუალება გამოხატონ საკუთარი მხარდაჭერა საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს პარლამენტის წევრებს არ აძლევს შესაძლებლობას გაიგონ წარდგენილი წინადადებებიდან რომელია უფრო აქტუალური და რომელი სარგებლობს საზოგადოების მხარდაჭერით.

ამავდროულად, მოქმედი რეგლამენტი არ ითვალისწინებს მოქალაქეების უფლებას კომენტარი გააკეთონ კანონპროექტებთან ან წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით, რაც არ აძლევს შესაძლებლობას საქართველოს პარლამენტს გაიგოს მოქალაქეების მოსაზრებები კანონპროექტებთან და/ან საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით ან მიიღოს ისეთი სახის კომენტარი ან უკუკავშირი, რაც შეიძლება წარდგენილი დოკუმენტაციის ცვლილების საფუძველი გახდეს. საჯარო დისკუსიის არარსებობა აფერხებს მოქალაქეების ჩართულობას საპარლამენტო საქმიანობაში.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში არ არსებობს კონსულტაციების ჩატარების გამართული და ერთიანი საკანონმდებლო რეგულირება, რაც ქმნის არაერთგვაროვან პრაქტიკას კანონპროექტის განხილვისას დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ჩართულობის კუთხით. პარლამენტის მიერ კონსულტაციების მიღების საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვისას, რადგან კანონპროექტის განხილვა ხდება მაქსიმალურად მოკლე ვადაში და დაინტერესებული მხარეებს არ აქვთ სათანადო დრო და შესაძლებლობა წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით. კონსულტაციების მიღების თვალსაზრისით ასევე არ ხდება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების აქტიური

გამოყენება, რაც განპირობებულია აღნიშნული საბჭოების შექმნისა და დაკომპლექტების ერთპიროვნული წესით (მხოლოდ კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს უფლება). ამასთანავე, აღნიშნული საბჭოები არ წარმოადგენს ქმედით საკონსულტაციო მექანიზმს, რომელიც გააერთიანებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალისტებსა და ექსპერტებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებიდან და უზრუნველყოფს შესაბამისი კომიტეტისათვის სათანადო დასკვნის მიწოდებას.

დღეისათვის პარლამენტის ვებგვერდზე არ ხდება კანონპროექტის და სხვა დოკუმენტაციის (დადგენილებები, რეზოლუციები) განთავსება ადვილად დამუშავებად ფორმატში, კერძოდ ისეთ ფორმატში (HTML, OpenDocumentText და სხვა), რომელიც შესაძლებლობას მისცემს პარლამენტის წევრებს, მოქალაქეებს, მეცნიერებს, მკვლევარებს, ჟურნალისტებს თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ისარგებლონ პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული კანონპროექტით და სხვა დოკუმენტაციით სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობაში. კანონპროექტებისა და თანდართული დოკუმენტაციის, დადგენილებების და რეზოლუციების განთავსება ხდება ამობეჭდილი და დასკანერებული ფორმატით, რაც ართულებს მათ მოძებნას თუ გამოყენებას. ეს გარემოება, მსგავსად ზემოთ დასახელებულისა, არის საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი.

აღსანიშნავია, რომ რეგლამენტის ზოგადი რეგულირება ხელს უშლის საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს. საყოველთაო-სახალხო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტი ქმნის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიას, რომელიც დაკომპლექტებულია პარლამენტის წევრებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს სავალდებულო ერთთვიანი საყოველთაო-სახალხო განხილვის ჩატარებას, ეს ჩანაწერი არის ზოგადი ხასიათის და არ არის დაკონკრეტებული განხილვის ჩატარების წესი და დეტალები, კერძოდ: მინიმუმ რამდენი შეხვედრა უნდა ჩატარდეს, საქართველოს რომელ რეგიონებში, როგორ მოხდება მოქალაქეების მოსაზრებების დაფიქსირება საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის მიერ, ასევე შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები.

არსებული მდგომარეობით პარლამენტში არ არსებობს სათანადო დონეზე ფუნქციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონპროექტის პირველად ტექსტში სამივე განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვას და მათ დროულად გამოქვეყნებას პარლამენტის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, რიგ შემთხვევაში, როგორც დაინტერესებული მხარეებს, ასევე პარლამენტის აპარატის თანამშრომლებსა და დეპუტატებს არ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ კანონპროექტში სამივე მოსმენით, ქრონოლოგიურად შეტანილი ცვლილებებს ელექტრონულ ფორმატში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს პროცესის

მონაწილეების მიერ ინფორმაციის მიღებასა და სათანადო ჩართულობას კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით პრობლემას წარმოადგენს კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარეც. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის რეგლამენტში მოცემულია განმარტებითი ბარათის კომპონენტები, ხშირ შემთხვევაში განმარტებითი ბარათი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და კანონპროექტის შესახებ საჭირო ინფორმაციას არ შეიცავს. განმარტებითი ბარათი არ არის სათანადოდ არგუმენტირებული, ინფორმაციული, დასაბუთებული. განმარტებითი ბარათიდან საზოგადოება უნდა იღებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: კანონპროექტის მიღების საჭიროება, შემოთავაზებული ინიციატივით პრობლემის გადაჭრის გზები, კანონის მიღების შემთხვევაში დამდგარი შედეგი და კანონპროექტის შემუშავებისას გაწეული სამუშაოს მოცულობა. განმარტებითი ბარათი ახდენს საზოგადოების ინფორმირებას, წარმოადგენს დამხმარე ბერკეტს კანონის შემდგომი სრულყოფისათვის; განმარტებითი ბარათი მნიშვნელოვანია კანონის აღსრულების მონიტორინგის პროცესში, სასამართლო სისტემაში და სამეცნიერო საქმიანობისათვის და წარმოადგენს ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლებისათვის.

საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში ყველა ოფიციალური შეხვედრის დღის წესრიგი, როგორც წესი, მოცემულია პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ კალენდარში. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კომიტეტის მსვლელობისას ხდება საკითხების დაუსაბუთებლად დამატება, რაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს არ აძლევს კანონპროექტის განხილვის პროცესში ჩართვის საშუალებას. მსგავსი პრაქტიკის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია კომიტეტის მსვლელობისას საკითხების დამატება მხოლოდ სათანადო დასაბუთებით კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია ამომრჩევლებს, ასევე, საკანონმდებლო ინიციატივის არმქონე სუბიექტებს ჰქონდეთ საკანონმდებლო ინიციატივისა და საკანონმდებლო წინადადების გამარტივებულ რეჟიმში, ელექტრონულად წარდგენის და ხელმოწერების შეგროვების შესაძლებლობა, რაც გაუმარტივებს მათ საპარლამენტო საქმიანობასა და საკანონმდებლო პროცესში ჩართულობას. აღნიშნული კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტაციის გამოქვეყნების ფორმატის დახვეწას და პარლამენტის ვებგვერდზე რეგისტრირებული პირებისთვის საკანონმდებლო წინადადებასა და საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით კომენტარის დატოვების შესაძლებლობის შექმნას. კანონპროექტი ასევე მიზნად ისახავს, საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული ჩართულობის თანამედროვე

სტანდარტების დანერგვას და საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის პოპულარიზაციას, საკანონმდებლო პროცესში ალტერნატივის სახით ელექტრონული რესურსების გამოყენების დანერგვას და დაინტერესებული პირებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას საპარლამენტო საქმიანობის შესახებ.

პროექტი ასევე მიზნად ისახავს, რომ ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას ისეთ მნიშვნელოვან კანონპროექტებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის ზოგად ან ნაწილობრივ გადასინჯვას. პროექტი განსაზღვრავს შეხვედრების ჩატარების გეოგრაფიული არეალს, სავალდებულოს ხდის პარლამენტის ვებგვერდზე შეხვედრების გრაფიკის გამოქვეყნებას და შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს მიაწოდონ საკუთარი მოსაზრებები საყოველთაო-სახალხო საორგანიზაციო კომისიას.

ამავდროულად, პროექტის მიზანია უზრუნველყოს კომიტეტების მიერ კონსულტაციების მისაღებად პროფესიულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირება და საჯარო კონსულტაციების მიღების მიზნით კანონპროექტის გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე, ასევე კომიტეტებთან სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების გაძლიერება და მათ ქმედით საკონსულტაციო მექანიზმად გადაქცევა.

წარმოდგენილი ცვლილებები მიზნად ისახავს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვისას მტკიცების სტანდარტის შემოტანას და მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონპროექტის დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მიღებიდან მისი განხილვის დაწყებამდე.

ამავდროულად, წარმოდგენილი პროექტი ხელს უწყობს კონსულტაციების მისაღებად კომიტეტების დაკავშირებას პროფესიულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე, ამკვიდრებს საჯარო კონსულტაციების მიღების მიზნით პარლამენტის ვებ-გვერდზე კანონპროექტის გამოქვეყნების სტანდარტს, აძლიერებს კომიტეტებთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებს მათ ქმედით საკონსულტაციო მექანიზმად გადაქცევის მიზნით. წარმოდგენილი ცვლილებები ასევე მიზნად ისახავს მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონპროექტის დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მიღებიდან მისი განხილვის დაწყებამდე.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს მოქალაქეების ჩართულობა საკანონმდებლო პროცესში, წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს კანონპროექტის პირველად ტექსტში სამივე მოსმენით შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვას და დროული გამოქვეყნებას პარლამენტის ვებგვერდზე. დაინტერესებულ პირებს, დეპუტატებსა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს შესაძლებლობა ექნებათ ელექტრონულ ფორმატში გაეცნონ კანონპროექტის პირველად ტექსტში თითოეული მოსმენის შედეგად შეტანილ ცვლილებებს.

მოქალაქეების ჩართულობისა და ინფორმირების მიზნით, წარმოდგენილი კანონპროექტით სავალდებულო გახდება კომიტეტის მსვლელობისას მხოლოდ დასაბუთების საფუძველზე გამოქვეყნებული დღის წესრიგისთვის საკითხის დამატება. აღნიშნული დამატებით შესაძლებლობას მისცემს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომ ჩაერთონ კანონპროექტის განხილვის პროცესში.

საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, პროექტი ითვალისწინებს კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესებას. განმარტებითი ბარათის რეგლამენტით გათვალისწინებულ კომპონენტებს, ემატება საკითხების ჩამონათვალი (მაგალითად, არსებული რეგულაციის მიმოხილვა და აღსრულების პრაქტიკა, პრობლემა და მისი კავშირი მოქმედე კანონთან, კანონპროექტის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე), რაც დაინტერესებულ პირს მეტ წარმოდგენას მისცემს განსახილველი კანონპროექტის შინაარსსა და მიზნებზე. განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის შეფასების ნაწილთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებების შეტანის მიზანია განისაზღვროს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ფინანსური გავლენის სახით წარდგენილი ინფორმაციის მომზადების ძირითადი საკითხები, იმისათვის რომ აღნიშნულმა ინფორმაციამ ასახოს კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური გავლენის შესახებ სათანადო სურათი. მიზნის მისაღწევად, ცვლილება მოიცავს ფინანსური გავლენის მომზადების ზოგად მითითებებს და მინიმალურ მოთხოვნებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად წარსადგენი ინფორმაციის თითოეული კომპონენტისთვის.

პროექტის მიზანი არის საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რვა ვალდებულების განხორციელებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა:

ვალდებულება 1.1. კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა.

კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ პარლამენტის ვებგვერდზე რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს შესაძლებლობა ექნება დაწეროს კომენტარი, როგორც კანონპროექტთან, ასევე, წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გააძლიერებს დისკუსიას მისაღებ კანონპროექტებთან და განსახილველ საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით. ამავდროულად, კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა გააქტიურებს მოქალაქეების ჩართულობას საკანონმდებლო პროცესში.

ვალდებულება 1.2. საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით.

კანონპროექტი გაუადვილებს საქართველოს მოქალაქეებს საკანონმდებლო ინიციატივის განსახორციელებლად აუცილებელი ხელმოწერების შეგროვებას, რადგან მოქალაქეებს ხელმოწერების შეგროვება შეეძლებათ პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით. ამავდროულად წარმოდგენილი კანონპროექტით მოხდება საკანონმდებლო წინადადების პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნება, რაც აამაღლებს საკანონმდებლო ინიციატივის არმქონე პირების ინფორმირებულობას წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით, ამავდროულად მათ ექნებათ საკანონმდებლო წინადადებისთვის მხარდაჭერის შესაძლებლობა, რაც საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის მისცემს შესაძლებლობას დაადგინონ თუ რომელია წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებებიდან ყველაზე უფრო აქტუალური.

ვალდებულება 1.3. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დახვეწას.

ვალდებულება მიზნად ისახავს დააზუსტოს საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის ჩატარების პროცესი, მათ შორის: შეხვედრების მინიმალური რაოდენობა, გეოგრაფიული არეალი, მოქალაქეთა ინფორმირების ვალდებულება, მოქალაქეთა მოსაზრებების დაფიქსირების მექანიზმები, ასევე საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შეხვედრების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნების გზით.

ვალდებულება 1.5. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა.

საზოგადოების ინფორმირებისა და საკანონმდებლო პროცესში მათი ჩართულობისათვის მნიშვნელოვანია პარლამენტის კომიტეტის სხდომებზე განხილვობდეს წინასწარ დადგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. სხდომის მიმდინარეობისას დღის წესრიგში საკითხის ჩამატება იშვიათ შემთხვევებში მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ხდებოდეს.

ვალდებულება 2.3. კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება.

საკანონმდებლო პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი ნორმების შემუშავება მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებასა და ჩართულობის გაზრდას კანონპროექტის განხილვის პროცესში. ვალდებულების მიზანია უზრუნველყოს კომიტეტების მიერ კონსულტაციების მისაღებად პროფესიულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირება და საჯარო კონსულტაციების მიღების მიზნით კანონპროექტის გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე, ასევე კომიტეტებთან სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების გაძლიერება და მათ ქმედით საკონსულტაციო მექანიზმად გადაქცევა. წარმოდგენილი ცვლილებები ასევე მიზნად ისახავს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვისას

მტკიცების სტანდარტის შემოტანასა და მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონპროექტის დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მიღებიდან მისი განხილვის დაწყებამდე.

ვალდებულება 2.4. კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე.

ვალდებულების მიზანია კანონპროექტის პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და დროული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას საკანონმდებლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მოქალაქეებს, დეპუტატებს, პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა ელექტრონულ ფორმატში გაეცნონ კანონპროექტის პირველად ტექსტში თითოეული მოსმენის შედეგად შეტანილ ცვლილებებს.

ვალდებულება 2.6. განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება.

საპარლამენტო ანგარიშვალდებულებისა და კანონშემოქმედებით პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კანონპროექტის განმარტებითი ბარათები. განმარტებითი ბარათი უნდა იყოს არგუმენტირებული, ინფორმაციული და დასაბუთებული. მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს განმარტებითი ბარათის შევსების ერთიანი სტანდარტი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კანონპროექტის მიღების მიზნის, ძირითადი არსის და ფინანსური მხარის სრულყოფილად დასაბუთება.

ვალდებულება 3.1. პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება.

კანონპროექტი შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მოქალაქეებს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ადვილად მოძებნონ კანონპროექტი და სხვა დოკუმენტაცია პარლამენტის ვებგვერდზე. პროექტი მიზნად ისახავს მაქსიმალურად შემცირდეს პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების დასკანერებული სახით განთავსება და პარლამენტის საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. კანონპროექტი შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირებს შემდგომში გამოიყენონ სამეცნიერო თუ სხვა საქმიანობისთვის პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტი, ახალი რედაქციით აყალიბებს რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-9 პუნქტს. კერძოდ, კომიტეტის სხდომის დღის წესრიგიდან საკითხის ამოღების ან დღის

წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სათანადო დასაბუთების საფუძველზე კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

წარმოდგენილი კანონპროექტით, 54¹ მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით და აწესრიგებს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის, დაკომპლექტებისა და მუშაობის ახალ წესს.

54¹ მუხლის მე-2 პუნქტით კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის თაობაზე ინიციატივის წარმოდგენის უფლება, კომიტეტის თავმჯდომარის გარდა, ექნება ასევე კომიტეტის წევრს და კომიტეტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით/დამსწრეთა ხმების უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას საბჭოს შექმნის თაობაზე.

54¹ მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება კომიტეტის თავმჯდომარის გარდა, ექნება კომიტეტის წევრს, უნივერსიტეტს ან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ასევე შესაბამის სფეროში არსებულ პროფესიულ გაერთიანებას ან არასამთავრობო ორგანიზაციას.

54¹ მუხლს ემატება მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატებიდან შესაბამისი კომიტეტი ირჩევს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით/დამსწრეთა ხმების უმრავლესობით

54¹ მუხლს ემატება მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად შესაბამისი კომიტეტი განსაზღვრავს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის წესს.

54¹ მუხლს ემატება მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად, შესაბამისი კომიტეტი განიხილავს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დასკვნას და მე-8 პუნქტის მიხედვით, საბჭო წყვეტს ფუნქციონირებას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

კანონპროექტი არ ცვლის საკანონმდებლო ინიციატივის და საკანონმდებლო წინადადების განხორციელების არსებულ რედაქციას, პროცედურებსა და ფორმატს.

პროექტით ცვლილება შედის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 143-ე მუხლის 1-ლ პუნქტში, კერძოდ, საკანონმდებლო პროცესის დაწყება შესაძლებელი ხდება მათ შორის ელექტრონული რესურსების გამოყენებით, რაც გულისხმობს პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით საკანონმდებლო ინიციატივის და/ან საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესაძლებლობას. პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივასთან მიმართებით შესაძლებელი იქნება პარლამენტის ვებგვერდის გამოყენებით ხელმოწერების შეგროვება.

145-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით, ასევე, 145-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

განმარტებით ბარათს ემატება პუნქტები, რომელიც მნიშვნელოვანია კანონპროექტზე აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად და წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

კანონპროექტის მიღების მიზეზის განმარტებისას ინიციატორმა უნდა მიუთითოს:

- არსებული პრობლემისა და მოქმედი კანონის ურთიერთკავშირი;
- არსებული რეგულაციის მიმოხილვისა და კანონის აღსრულების პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია, კონკრეტულად რა ასპექტი განაპირობებს კანონში ცვლილების შეტანის საკითხს.

კანონპროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის აღწერისას ინიციატორმა დამატებით უნდა მიუთითოს:

- კანონპროექტის ძალაში შევლის თარიღის შერჩევის პრინციპი, თუ რა განაპირობებს კანონის გარკვეული ვადის შემდეგ ამოქმედებას და წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დასაბუთება;
- თუკი კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილება ინიციატორმა უნდა დაასაბუთოს დაჩქარებული წესით განხილვის საჭიროების აუცილებლობა;
- ინიციატივის კავშირი და ურთიერთმიმართება მთავრობის სამოქმედო პროგრამასთან და სამოქმედო გეგმასთან, იმ შემთხვევაში თუკი კანონპროექტის ინიციატორი არის მთავრობა;
- კანონის ზეგავლენა გენდერულ თანასწორობაზე.

კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასების ნაწილთან(145-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) დაკავშირებით პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ხასიათის ცვლილებებს:

პირველ რიგში, „ბ“ ქვეპუნქტის სახელწოდებაში შედის ორი ცვლილება, რომელიც ეხება:

- თავად ქვეპუნქტის სახელწოდებას: ვინაიდან მოცემული „ბ“ ქვეპუნქტის კომპონენტები წარმოადგენს ფინანსური გავლენის შემადგენელ კომპონენტებს და საერთაშორისო პრაქტიკითაც დამკვიდრებულია „გავლენის შეფასების“ ცნება, ტერმინი „დასაბუთება“ იცვლება „გავლენის შეფასებით“;
- განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის შეფასების მეთოდოლოგიის მომზადების ვალდებულების განსაზღვრას: გამომდინარე იქიდან, რომ პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ამოწმებს კანონპროექტების ფინანსურ გავლენას, მიზანშეწონილია კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასების მეთოდოლოგია მომზადდეს საბიუჯეტო ოფისის მიერ. დოკუმენტში აისახება ის ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული მითითებები,

რომელიც უზრუნველყოფს საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენისას ინიციატორების მიერ კანონპროექტის ფინანსური გავლენის შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრულად წარდგენას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული მეთოდოლოგია უკვე მომზადებულია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის კომპონენტებში შედის როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკური ხასიათის ცვლილებები.

ზოგად ცვლილებებს მიეკუთვნება შემდეგი სახის ცვლილებები:

- ყველა შესაბამისი კომპონენტისათვის „ბიუჯეტის“ ნაცვლად მიეთითება ტერმინი „შესაბამისი ბიუჯეტი“, ვინაიდან მხოლოდ „ბიუჯეტის“ მითითება არ არის მკაფიოდ აღქმადი და ხშირ შემთხვევაში განიხილება როგორც მხოლოდ „სახელმწიფო ბიუჯეტი“. მაშინ როდესაც, აღნიშნული ტერმინი გულისხმობს გავლენის შეფასებას არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტზე, არამედ ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების, ადგილობრივი ბიუჯეტების, ასევე სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების, მათ შორის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების და შესაბამისი უწყებების ბიუჯეტებზე.
- ყველა შესაბამისი კომპონენტისათვის მიეთითება, რომ შესაბამისი ფინანსური გავლენის წარდგენა უნდა მოხდეს საშუალოვადიანი პერიოდისთვის (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი), რაც პირველ რიგში უკავშირდება უკვე არსებული პრაქტიკით გამოვლენილ აუცილებლობას, იმის გათვალისწინებით რომ კონკრეტული კანონპროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე კანონპროექტის გავლენა შესაძლებელია მატერიალური იყოს საშუალოვადიანი პერიოდში, გარდა ზემოაღნიშნულისა, ეს ჩანაწერი შესაბამისობაშია საერთაშორისოდ და საქართველოში მიღებულ პრაქტიკასთან ფისკალური გეგმის საშუალოვადიანი პერიოდისათვის(4 წელი) ჩამოყალიბების მიმართულებით.

სპეციფიკური ხასიათის ცვლილებებს მიეკუთვნება შემდეგი სახის ცვლილებები:

- ბ.ა) ქვეპუნქტის ახალი სახელწოდება ყალიბდება შემდეგი სახით „კანონპროექტის გავლენის მიმართულება შესაბამის ბიუჯეტზე“, ვინაიდან არსებული რედაქციით ბ.ა) ქვეპუნქტი „კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო“ და ბ.გ) ქვეპუნქტი „კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე“ გარკვეულწილად ერთსა და იმავე შინაარსს ატარებს. შემოთავაზებული ცვლილებით კი, მოხდება ფინანსური გავლენის ზოგადი სურათის წარმოდგენა კანონპროექტის ინიციატორის მიერ და მიეთითება წმინდა ფინანსური შედეგი, რომელიც მიიღება, შესაბამისად, შემოსულობების და გადასახდელების ცვლილების ოდენობისა და მიმართულების გათვალისწინებით.
- ბ.ბ) ქვეპუნქტის ახალი სახელწოდება ყალიბდება შემდეგი სახით „კანონპროექტის გავლენა შესაბამისი ბიუჯეტის შემოსულობებზე“, ვინაიდან არსებული რედაქციით

ჩანაწერი „კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე“ ბიუჯეტის მხოლოდ საშემოსავლო ნაწილზე აკეთებს აქცენტს. ბიუჯეტის შემოსულობები კი, საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით (მუხლი 10), გარდა შემოსავლებისა, მოიცავს ასევე არაფინანსური და ფინანსური აქტივების შემცირებასა და ვალდებულებების ზრდას, რაც ასევე აუცილებელია, რომ გათვალისწინებული იყოს კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასების დროს. ამავე დროს აღინიშნება, რომ საჭიროა მითითებულ იქნეს საშუალოვადიან პერიოდში კანონპროექტის გავლენით შესაბამისი ბიუჯეტის შემოსულობების კომპონენტის ცვლილების, გამოყენებული დაშვებებისა და გავლენის შეფასებისას გამოყენებული მეთოდის შესახებ ინფორმაცია, რაც აუცილებელია საბიუჯეტო ოფისის მიერ შემოწმების პროცედურების განხორციელებისათვის, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს მოსალოდნელი ფინანსური გავლენის სათანადო სურათს.

- ბ.გ) ქვეპუნქტის ახალი სახელწოდება ყალიბდება შემდეგი სახით „კანონპროექტის გავლენა შესაბამისი ბიუჯეტის გადასახდელებზე“, ვინაიდან არსებული რედაქციით ჩანაწერი „კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე“ ბიუჯეტის მხოლოდ ხარჯვით ნაწილზე აკეთებს აქცენტს. ბიუჯეტის გადასახდელები კი, საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით (მუხლი 11), გარდა ხარჯებისა, მოიცავს ასევე არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების შემცირებას, რაც ასევე აუცილებელია, რომ გათვალისწინებული იყოს კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასების დროს. ამავე დროს აღინიშნება, რომ საჭიროა მითითებულ იქნეს საშუალოვადიან პერიოდში კანონპროექტის გავლენით შესაბამისი ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტის (საბიუჯეტო ორგანიზაციის მითითებით), მათ შორის მართვასა და რეგულირებასთან დაკავშირებული გადასახდელების ცვლილების, გამოყენებული დაშვებებისა და გავლენის შეფასებისას გამოყენებული მეთოდის მითითებით, რაც აუცილებელია საბიუჯეტო ოფისის მიერ შემოწმების პროცედურების განხორციელებისათვის, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს მოსალოდნელი ფინანსური გავლენის სათანადო სურათს.
- ბ.დ) ქვეპუნქტი „სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები“, თავის მხრივ, კავშირშია ბ.ბ) ქვეპუნქტთანაც, ვინაიდან შემოსულობები მოიცავს ვალდებულებების ზრდასაც, თუმცა ბ.დ) ქვეპუნქტთან მიმართებაში ზუსტდება, რომ უნდა მიეთითოს სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) ზრდის შესახებ, ასეთის გამოვლენის შემთხვევაში.
- ბ.ე) ქვეპუნქტის „კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება“ ზუსტდება პირთა წრე (ფიზიკური ან/და იურიდიული პირები), რომლებზედაც კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს შესაძლოა ჰქონდეს პირდაპირი გავლენა და შესაბამისად უნდა მიეთითოს საშუალოვადიან პერიოდში შესაბამისი ფინანსური გავლენის შეფასება და ინფორმაცია ამ გავლენის ბუნებისა და მიმართულების შესახებ.

- ბ.ვ) ქვეპუნქტის სახელწოდება ყალიბდება შემდეგი სახით „ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი“. ეს ცვლილება განპირობებულია ბ.გ) ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებით. კერძოდ, იმისთვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს ორმაგ ინტერპრეტაციას ბ.გ) ქვეპუნქტში მოცემულ „გადასახდელებს“ და ბ.ე) ქვეპუნქტში მოცემულ „გადასახდელს“ შორის, მიეთითა, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში, „გადასახდელი“ არის იგივე ფულადი შენატანი შესაბამის ბიუჯეტში, რაც თავის მხრივ რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან ურთიერთმიმართების აღწერისას ინიციატორმა დამატებით უნდა მიუთითოს:

- საერთაშორის ხელშეკრულების ან შეთანხმების შესაბამისი მუხლი ან პუნქტი, რომელსაც შეესაბამება წარმოდგენილი კანონპროექტი;
- ცვლილებების მიმართება ასოცირების ხელშეკრულებასა, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ასევე შესაბამისი მუხლის/ნაწილის მითითებით.

კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციების აღწერისას ინიციატორმა დამატებით უნდა მიუთითოს:

- ინტერესთა ჯგუფებთან გამართული შეხვედრების და კონსულტაციების შესახებ.

კანონპროექტს ექპერტის შეფასებასა და ლობისტის დასკვნასთან ერთად თან უნდა ერთოდეს:

- განმარტებითი ბარათი სიახლის სახით, რომელიც ასევე შეიცავს მითითებას, რომ მასზე უნდა დაერთოს ყველა შეფასება, რეკომენდაციები და შენიშვნების დოკუმენტი, მათ შორის იმ რეკომენდაციების ნაწილშიც, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული კანონპროექტის ავტორის/ინიციატორის მიერ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის კვლევა, ანალიზი და სხვა ნებისმიერი წყარო, რაც საფუძვლად დაედო კანონპროექტის მომზადებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ინფორმაცია სხვა ინიცირებული კანონპროექტების შესახებ, რომელიც ეხება იდენტური პრობლემის მოგვარებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სხვა ქვეყნების გამოცდილება მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, გამოცდილების მიმოხილვა, რაც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

145-ე მუხლს ემატება მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ფორმატი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

146-ე მუხლს ემატება გ¹ და გ² პუნქტები. გ¹ პუნქტი განსაზღვრავს წამყვანი კომიტეტის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, განსახილველი კანონპროექტი კონსულტაციის მიღების მიზნით გაუგზავნოს მოცემულ სფეროში მომუშავე პროფესიულ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო გ² პუნქტი განსაზღვრავს წამყვანი კომიტეტის შესაძლებლობას საჯარო კონსულტაციების მიღების მიზნით კანონპროექტს აქვეყნებს ვებ-გვერდზე.

147-ე მუხლს ემატება 1¹, 2¹ და 8¹ პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებენ პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის და ხელმოწერების შეგროვების შესაძლებლობას. წარმოდგენილი ცვლილებებით იზრდება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის როლი, რომელიც უზრუნველყოფს პარლამენტის ვებგვერდზე კანონპროექტის და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სხვა ცვლილებების განთავსებას. კანონპროექტის პარლამენტის ვებგვერდზე განთავსების შემდეგ პარლამენტის ვებგვერდზე რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს შესაძლებლობა ექნება დააფიქსიროს კომენტარი ვებგვერდზე კანონპროექტთან ან მის რომელიმე მუხლთან დაკავშირებით.

148-ე მუხლის 1-ელ პუნქტში განხორციელებული ცვლილებით ზუსტდება საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული ფინანსური გავლენასთან დაკავშირებით იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც თან უნდა დაერთოს პლენარულ სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს, კერძოდ, მიეთითება რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს საბიუჯეტო ოფისის მიერ დასკვნის მომზადების ვალდებულებას და დამატებითი ინფორმაციის მომზადების უფლებამოსილებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამოღებულია 148-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რამდენადაც წარმოდგენილი პროცედურებით, მათ შორის ახალი მეთოდოლოგიების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ ბიუროზე საბიუჯეტო ოფისის დასკვნით წარდგენილი მოსაზრება ფინანსური გავლენის შესახებ ინფორმაციაზე პირობითი ან უარყოფითია, აღნიშნული ინფორმაცია პარლამენტს მიეწოდება დამატებითი ინფორმაციის სახით.

150-ე მუხლს ემატება 3¹ და 3² პუნქტები. 3¹ პუნქტი ითვალისწინებს საკანონმდებლო წინადადების პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებას, ხოლო 3² პუნქტი არეგულირებს საკანონმდებლო წინადადების პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით წარდგენის, ხელმოწერების ელექტრონულად შეგროვების და კომენტარების გაკეთების შესაძლებლობას. ასევე, აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებს, რომ საკანონმდებლო წინადადების გამოქვეყნების წესი განისაზღვრება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. უცვლელი რჩება საკანონმდებლო წინადადების წარდგენის არსებული რედაქცია, ალტერნატივის სახით

შემოდის წინადადების წარდგენის ელექტრონული წესი. ასევე, შესაძლებელი იქნება წინადადებასთან მიმართებაში ხელმოწერების ელექტრონულად შეგროვება.

152-ე მუხლის მე-10 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, სადაც განისაზღვრება, რომ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, არსებობის შემთხვევაში, ერთვის პარლამენტის ბიუროსათვის წარდგენილ კანონპროექტს.

კანონპროექტის თანახმად, დაჩქარებული წესით განხილვას ემატება მტკიცების სტანდარტი და განისაზღვრება მინიმალური ვადა კანონპროექტის დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მიღებიდან მისი განხილვის დაწყებამდე.

163-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ზოგადი წესით მისი განხილვა არსებითი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს კანონპროექტის მოსაწესრიგებელი სფეროსათვის. გარდა ამისა, 163-ე მუხლს ემატება მე-4¹ მუხლი, რომლის თანახმად, წამყვანი კომიტეტი დაჩქარებული წესით განსახილველ კანონპროექტს არ განხილავს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღეს.

176-ე მუხლს ემატება 5¹ პუნქტი, რომელიც აზუსტებს საქართველოს კონსტიტუციის ზოგად ან ნაწილობრივ გადასინჯვასთან დაკავშირებით კანონპროექტის განხილვაში მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის საკითხებს. კერძოდ, აღნიშნული პუნქტით დგინდება, რომ თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში უნდა ჩატარდეს არანაკლებ 11 საჯარო შეხვედრა; პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდეს შეხვედრის ჩატარების გრაფიკი შეხვედრის ჩატარებამდე ხუთი დღით ადრე; საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია, მოქალაქეთა მოსაზრებების დასაფიქსირებლად, შეიმუშავებს სპეციალურ ფორმას, რომელიც დარიგდება შეხვედრებზე და განთავსდება პარლამენტის ვებგვერდზე. ასევე, დასახელებული ითვალისწინებს თითოეული შეხვედრის ოქმის და შემაჯამებელი ოქმის შედგენას, სადაც აისახება მოქალაქეების მხრიდან დაფიქსირებული მოსაზრებები. წარმოდგენილი პროექტით შეხვედრების ოქმები, ასევე, შემაჯამებელი ოქმი ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

177-ე მუხლს ემატება 2¹, 3¹ და 3² პუნქტები, რომელიც აზუსტებს, ამომრჩეველთა მიერ პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით და ხელმოწერების ელექტრონულად შეგროვების მიზნით, საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების და კომენტარის გაკეთების შესაძლებლობას, ასევე ითვალისწინებს, რომ პარლამენტის ვებგვერდზე ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების წესი განისაზღვრება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

275-ე მუხლს ემატება „ფ¹“ და „ფ²“ ქვეპუნქტები. „ფ¹“ ქვეპუნქტი პარლამენტის აპარატის ფუნქციებს ამატებს პარლამენტის ვებგვერდზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას კანონპროექტებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, დადგენილებების, რეზოლუციების განთავსების გზით. „ფ²“ ქვეპუნქტის თანახმად პარლამენტის აპარატი უზრუნველყოფს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტში პირველიდან მესამე მოსმენამდე შეტანილი ცვლილებების ადვილად დამუშავებად და ხილვად ფორმატში ასახვას.

პროექტის მეორე მუხლი ითვალისწინებს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ სამი ბრძანების დამტკიცებას, რომელთა მეშვეობითაც უნდა დარეგულირდეს პარლამენტის ვებგვერდზე საკანონმდებლო წინადადების გამოქვეყნების წესი, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ტექნიკური ფორმატი და პარლამენტის ვებგვერდზე ხელმოწერის განხორციელების წესი. აღნიშნული ბრძანებების რეგულირების ქვეშ მოექცევა ტექნიკური საკითხები, რომლებიც არეგულირებენ დოკუმენტაციის განთავსების და ხელმოწერის განხორციელების ტექნიკურ რეგლამენტს. ბრძანებების ხელმოწერა უნდა მოხდეს 2016 წლის 1 სექტემბრამდე. საკუთრივ წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მე-3, მე-8, მე-9 და მე-14 პუნქტები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც შესაძლებლობას მისცემს საქართველოს პარლამენტს გამართოს შესაბამისი ინფრასტრუქტურული ბაზა იმისათვის, რომ განხორციელებული ცვლილებების სრულყოფილად დაინერგოს პრაქტიკაში.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) რეგლამენტის პროექტი მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

რეგლამენტის შემუშავება განხორციელდა საქართველოს პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს და მასთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის მიერ.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ საქართველოს კანონის იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება:

მუხლი 49

1. კომიტეტის სხდომას იწვევს და წარმართავს კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე. კომიტეტის სხდომების გამართვის პერიოდულობას განსაზღვრავს კომიტეტი, მაგრამ სასესიო პერიოდში თვეში უნდა გაიმართოს არანაკლებ 2 სხდომისა (სესიებს შორის პერიოდში კომიტეტი არ არის ვალდებული, გამართოს სხდომა). კომიტეტის მორიგი სხდომა მოიწვევა წინასწარ განსაზღვრულ დროს. კომიტეტების მორიგი სხდომების გამართვის დრო განისაზღვრება კომიტეტების თავმჯდომარეებს შორის კონსულტაციების შედეგად. კომიტეტი ვალდებულია პარლამენტის ან პარლამენტის ბიუროს დავალებით, ამ რეგლამენტით განსაზღვრულ ვადაში გამართოს სხდომა და განიხილოს საკითხი.

2. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. კომიტეტის წევრი ვალდებულია დაესწროს კომიტეტის სხდომას და მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ამ რეგლამენტის 286-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

4. თუ ფრაქციის მიერ დანიშნულ კომიტეტის წევრს დროებით არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კომიტეტის მუშაობაში, მის დამნიშვნელ ფრაქციას უფლება აქვს, აღნიშნული წევრი დროებით შეცვალოს ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც ფრაქცია წერილობით აცნობებს შესაბამის კომიტეტს. ეს უფლება ფრაქციის თითოეული წევრის მიმართ კომიტეტის სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი სესიის განმავლობაში არა უმეტეს ხუთჯერ. პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახური აღრიცხავს აღნიშნული უფლების გამოყენების შესახებ ინფორმაციას და აწვდის შესაბამის კომიტეტებსა და ფრაქციებს. კომიტეტის წევრს, რომლის უფლებამონაცვლევ ესწრება კომიტეტის სხდომას, შესაბამისი კომიტეტის სხდომა გაცდენილად არ ეთვლება.

5. კომიტეტის სხდომები, როგორც წესი, იმართება პლენარული სხდომების კვირის სამშაბათსა და ხუთშაბათს, აგრეთვე ამომრჩევლებთან შეხვედრის კვირაში. კომიტეტის სხდომის გამართვის თარიღი (გარდა ამომრჩევლებთან შეხვედრების კვირისა) კომიტეტის წევრებს ეცნობება სხდომამდე არა უგვიანეს 1 დღისა. კომიტეტის სხდომაზე განსახილველი კანონპროექტი იმავე ვადაში ეგზავნება კომიტეტის წევრებს. კომიტეტის სხდომისა და მისი დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია სხდომამდე 1 დღით ადრე განთავსდება პარლამენტის ვებგვერდზე. ამომრჩევლებთან შეხვედრების კვირაში კომიტეტის წევრებს კომიტეტის სხდომის მასალები ეგზავნება და მისი დღის წესრიგი და თარიღი ეცნობება სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა. კომიტეტის სხდომისა და მისი დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია სხდომამდე 2 დღით ადრე განთავსდება პარლამენტის ვებგვერდზე.

6. კომიტეტის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისათვის (უფლებამოსილების დადგენისათვის) საჭირო ხმების ნახევრისა, გარდა ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. კომიტეტის სხდომაზე ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

8. კომიტეტის რიგგარეშე სხდომას იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის ბიუროს, კომიტეტის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის მოთხოვნით. კომიტეტის სხდომის თარიღი კომიტეტის წევრებს ეცნობება სხდომამდე არა უგვიანეს 1 დღისა.

9. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან კომიტეტის წევრის (წევრების) მოთხოვნით. დღის წესრიგიდან საკითხის ამოღების ან დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

10. კომიტეტის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომიტეტი მართავს დახურულ სხდომას. დახურული სხდომის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

11. კომიტეტის სხდომას შეიძლება სათათბირო ხმის უფლებით დაესწრონ სხვა პარლამენტის წევრები, საქართველოს მთავრობის წევრები და მოწვეული პირები.

12. კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ საზოგადოებრიობის დაინტერესებული წარმომადგენლები, რომელთაც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემათ სიტყვით გამოსვლის უფლება.

13. კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დადგენილი წესით აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. შესაძლებელია მოეწყოს კომიტეტის სხდომის ტელერადიორეპორტაჟი და სხდომის შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს პრესაში.

14. კომიტეტი უფლებამოსილია გამართოს გასვლითი სხდომა.

მუხლი 54¹ (22.03.2013. N384)

1. კომიტეტთან შესაძლებელია შეიქმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური კონსულტანტებისაგან. საბჭოს შემადგენლობას ნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე.

2. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომას საჭიროებისამებრ იწვევს შესაბამისი კომიტეტი. შეიძლება გაიმართოს კომიტეტისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი სხდომა.

მუხლი 143

1. საკანონმდებლო პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებით და პარლამენტისათვის წარდგენით.

2. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, კომიტეტს, ფრაქციას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

3. მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი, პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონისა და მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონის პროექტები.

4. მხოლოდ პარლამენტის წევრი, კომიტეტი და ფრაქცია არიან უფლებამოსილი, პარლამენტს წარუდგინონ რეგლამენტის პროექტი რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ.

5. კანონპროექტი, რომლის ავტორია საქართველოს მთავრობა ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, არ შეიძლება საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარადგინოს პარლამენტის წევრმა.

მუხლი 145

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტი კანონპროექტს ამზადებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება:

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) კანონპროექტის ავტორი;

ვ) კანონპროექტის ინიციატორი.

3. კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს:

ა) დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ) შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით.

41. კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება.

5. კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს კომიტეტის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

6. საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს მთავრობის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 28 დეკემბრის რეგლამენტი №191 – ვებგვერდი, 29.12.2012წ.

მუხლი 146

პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტი განხილვისას გადის შემდეგ პროცედურებს:

ა) კანონპროექტი რეგისტრაციისათვის გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს;

ბ) პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი კანონპროექტს გადასცემს პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს ამ რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნების მოსამზადებლად. ამის შემდეგ კანონპროექტს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნებთან ერთად საორგანიზაციო დეპარტამენტი გადასცემს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას, თუ იგი წარდგენილია ბიუროს სხდომის წინა კვირის პარასკევამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი ბიუროს მომდევნო სხდომას გადაეცემა;

გ) პარლამენტის ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, ამასთანავე, კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, აგრეთვე საქართველოს მთავრობას. საფინანსო სექტორის წარმომადგენლის საქმიანობის მარეგულირებელი კანონპროექტი გადაეცემა ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს;

დ) წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს მიღებიდან არა უადრეს 3 დღისა (გარდა იმ კანონპროექტისა, რომლის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტის ბიურომ) და არა უგვიანეს 3 კვირისა განიხილავს კომიტეტის სხდომაზე;

ე) წამყვანი კომიტეტისა და სხვა კომიტეტების მიერ განხილვის შემდეგ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს პირველი მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

ვ) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს პირველი მოსმენისას გათვალისწინებული შენიშვნების ასახვისათვის და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის მოსამზადებლად;

ზ) პირველი მოსმენით მიღებიდან 2 კვირის ვადაში წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს განიხილავს კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად, ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების), მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით;

თ) წამყვანი კომიტეტის მიერ განხილვის შემდეგ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებითა და ალტერნატიული წინადადებებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

ი) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს მესამე მოსმენისათვის მოსამზადებლად;

კ) მეორე მოსმენით მიღებიდან 5 დღის ვადაში წამყვანი კომიტეტი პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით განხილვისას გათვალისწინებულ შენიშვნებს ასახავს კანონპროექტში და გადასცემს მას პარლამენტის ბიუროს მესამე მოსმენით განხილვისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

ლ) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვის შემდეგ კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი, რომლის თავფურცელი ვიზირებულია კანონპროექტის თაობაზე მომხსენებლის, წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის), კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირის, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) და იურიდიული დეპარტამენტის სარედაქციო განყოფილების უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) მიერ, დგება კენჭისყრაზე საბოლოო რედაქციით მისაღებად;

მ) კანონპროექტი მესამე მოსმენით მიღებიდან 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად და კანონის გამოსაქვეყნებლად.

მუხლი 147

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული და პარლამენტისათვის წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს მას.

2. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი.

3. პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ ამ რეგლამენტის 146-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პარლამენტის ბიუროსთვის გადაცემულ კანონპროექტს უნდა ერთოდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

ა) კანონპროექტის დასახელება;

ბ) კანონპროექტის ინიციატორი;

გ) კანონპროექტის ავტორი;

დ) კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენის თარიღი;

ე) წამყვანი კომიტეტი;

ვ) კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;

ზ) სხვა კომიტეტები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს;

თ) კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი.

4. პარლამენტის ბიურო იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“-„თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე.

5. პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი ამოწმებს წარდგენილი კანონპროექტის ამ რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებსა და მე-3-მე-6 პუნქტებთან შესაბამისობას, ხოლო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი – ამ რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობას. თუ წარდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება ამ რეგლამენტის 145-ე მუხლის ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნებს, პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოტივირებული დასკვნების საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი უფლებამოსილია კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყებიდან პირველ მოსმენამდე წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია ამ რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე.

6. თუ საქართველოს მთავრობა მოითხოვს კანონპროექტის რიგგარეშე განხილვას, კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის ვადებს განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო და გადასცემს მას წამყვან კომიტეტს.

7. თუ დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა კანონპროექტის საპარლამენტო განხილვისათვის მომზადება, მისი განხილვისათვის დადგენილ ვადას საჭიროების შემთხვევაში გააგრძელებს პარლამენტის ბიურო.

8. პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, აგრეთვე საქართველოს მთავრობას, მოთხოვნის შემთხვევაში – დამოუკიდებელ პარლამენტის წევრებს, და განთავსდება პარლამენტის ვებგვერდზე.

9. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი – საქართველოს მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

10. კანონპროექტის ინიციატორს უფლება აქვს, სათანადო მოტივირებით გამოითხოვოს იგი პირველი მოსმენით მიღებამდე.

11. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი და განხილვის პროცესში მყოფი კანონპროექტები უარყოფილად ითვლება. ამის შესახებ წამყვანი კომიტეტი აცნობებს პარლამენტის ბიუროს. აღნიშნული ფაქტი ფორმდება საოქმო ჩანაწერით.

მუხლი 148

1. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე და პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნები.

2. პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს დასკვნას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;

ბ) საჭიროა თუ არა ახალი კანონის მიღება;

გ) შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს;

დ) ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი ნორმატიული აქტების ნუსხა, იმ საკანონმდებლო აქტების პროექტების ნუსხა, რომლებშიც ცვლილების შეტანა აუცილებელია;

ე) შეესაბამება თუ არა კანონპროექტი ევროპის კავშირის კანონმდებლობას.

3. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ამზადებს დასკვნას შემდეგ საკითხებზე:

ა) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

გ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

მუხლი 150

1. საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი, დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

2. საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანოებს (გარდა საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს და სხვა იურიდიულ პირებს.

3. საკანონმდებლო წინადადება შეიძლება წარდგენილ იქნეს კანონპროექტის ანდა მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით. საკანონმდებლო წინადადება უნდა შეიცავდეს მისი საჭიროების ავტორისეულ დასაბუთებას, ავტორის ხელმოწერას და მისამართს.

4. საკანონმდებლო წინადადებას პარლამენტის ბიურო ან პარლამენტის თავმჯდომარე 5 დღის ვადაში გადასცემს კომიტეტებს წამყვანი კომიტეტის მითითებით, რომელიც მას განიხილავს 20 დღეში. თუ ეს ვერ მოხერხდა, საკანონმდებლო წინადადების განხილვის ვადა მის ავტორთან შეთანხმებით შეიძლება გააგრძელოს პარლამენტის თავმჯდომარემ არა უმეტეს 10 დღით. კომიტეტი საკანონმდებლო წინადადებას განიხილავს ამ რეგლამენტის 152-ე და 153-ე მუხლების შესაბამისად. საკომიტეტო განხილვის შედეგად საკანონმდებლო წინადადება მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება ცნობილ იქნეს მიღებულად ან უარყოფილად.

5. კომიტეტი საკანონმდებლო წინადადების თაობაზე თავის გადაწყვეტილებას აცნობებს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას.

6. თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კომიტეტი პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით, განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავებს კანონპროექტს და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გადასცემს ბიუროს.

7. თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია კანონპროექტის სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კანონპროექტი ამ რეგლამენტით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადაში გადაეცემა პარლამენტის ბიუროს.

8. საკანონმდებლო წინადადების ავტორს უფლება აქვს, გამოითხოვოს იგი საკომიტეტო განხილვამდე.

9. საკანონმდებლო წინადადების მიღების შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტად ითვლება წამყვანი კომიტეტი.

მუხლი 152

1. პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უადრეს 3 დღისა და არა უგვიანეს 14 დღისა საქართველოს მთავრობა, პარლამენტის კომიტეტები, ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი წამყვან კომიტეტს გადასცემენ თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე.

თუ აღნიშნული სუბიექტები მითითებულ ვადაში არ წარმოადგენენ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე, კანონპროექტი მათ მიერ მოწონებულად ჩაითვლება.

2. წამყვანი კომიტეტი პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უადრეს 3 დღისა და არა უგვიანეს 3 კვირისა იწვევს კომიტეტის სხდომას. წამყვანი კომიტეტის სხდომა მოწვეული უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრული ის კომიტეტები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში წამყვან კომიტეტს გადასცემენ თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე.

3. კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად კანონპროექტი შეიძლება ცნობილ იქნეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად. კომიტეტის მიერ კანონპროექტის არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად ცნობა არ აბრკოლებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას.

4. წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გატანა დაუშვებელია. თუ პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში წამყვანი კომიტეტი არ გამართავს სხდომას და არ გამოხატავს თავის პოზიციას კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტის ინიციატორი უფლებამოსილია მიმართოს წამყვან კომიტეტს მისი განხილვის მოთხოვნით ან პარლამენტის ბიუროს წინაშე დასვას წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე კანონპროექტის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი.

5. თუ ამ მუხლით დადგენილ ვადაში წამყვანი კომიტეტი ვერ ახერხებს კომიტეტის სხდომის გამართვას და დასკვნის წარდგენას, პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია კომიტეტის თავმჯდომარის მოტივირებული წინადადების საფუძველზე განსაზღვროს კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის ახალი ვადა. თუ წამყვანი კომიტეტი ამ ვადაშიც არ გამართავს სხდომას და არ გამოხატავს თავის პოზიციას კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტის ინიციატორი უფლებამოსილია კვლავ მიმართოს წამყვან კომიტეტს მისი განხილვის მოთხოვნით ან პარლამენტის ბიუროს წინაშე დასვას წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე კანონპროექტის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტის ბიურო ვალდებულია კანონპროექტი შეიტანოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. თუ კანონპროექტის ინიციატორი შესაბამისი სესიის განმავლობაში პარლამენტის ბიუროს წინაშე არ დასვამს მისი შემდგომი განხილვის საკითხს, იგი პარლამენტიდან გათხოვილად ითვლება, რის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი აწვდის პარლამენტის ბიუროს.

7. წამყვანი კომიტეტის მიერ კანონპროექტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომიტეტის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი.

8. კანონპროექტზე წამყვანი კომიტეტის უარყოფითი დასკვნა არ აბრკოლებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას.

9. წამყვანი კომიტეტის სხდომის გამართვის შემდეგ კანონპროექტი კომიტეტის თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – უფლებამოსილი მოადგილის ხელმოწერით, წერილობითი ფორმით ეგზავნება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს პარლამენტის ბიუროს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შესატანად. ამასთანავე, კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს კომიტეტის აპარატის უფროსის მიერ.

10. პარლამენტის ბიუროსათვის წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს წამყვანი კომიტეტის დასკვნა, ასევე სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრების, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და სხვა უფლებამოსილი სუბიექტების დასკვნები და მათი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი.

მუხლი 163

1. პარლამენტმა კანონპროექტი შეიძლება განიხილოს და მიიღოს დაჩქარებული წესით.

2. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომების 1 კვირის განმავლობაში. პლენარული სხდომის 1 დღეს კანონპროექტის ერთზე მეტი მოსმენით განხილვა და მიღება დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით.

3. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის ბიურო კანონპროექტის ინიციატორის ან წამყვანი კომიტეტის წინადადების საფუძველზე. თუ პარლამენტის ბიურო არ მიიღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, ამ საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის პლენარული სხდომა.

4. პარლამენტის ბიუროს ან პლენარული სხდომის მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ რეგლამენტით

გათვალისწინებული სუბიექტები პარლამენტის ბიუროს ან პლენარული სხდომის მიერ განსაზღვრულ ვადაში გადასცემენ წამყვან კომიტეტს თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე.

5. დაუშვებელია დაჩქარებული წესით საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა და მიღება.

6. დაჩქარებული წესით კანონპროექტი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ კანონში ცვლილების შეტანას.

7. კანონპროექტს, რომლის თაობაზედაც მიღებულია დაჩქარებული წესით განხილვის გადაწყვეტილება, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისას უნდა ერთოდეს ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი დასკვნები. დაჩქარებული წესით კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა და კენჭისყრა ხდება კანონპროექტის განხილვისა და კენჭისყრისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

8. დაჩქარებული წესით კანონპროექტის მიღებისას კენჭისყრა შესაძლებელია გაიმართოს მისი შესაბამისი მოსმენით განხილვის დამთავრების შემდეგ, იმავე დღეს. ამასთანავე, პარლამენტი კანონპროექტს მესამე მოსმენით კენჭს უყრის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება მისი საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი. აღნიშნული ვარიანტის თავფურცელი ვიზირებული უნდა იყოს კანონპროექტის თაობაზე მომხსენებლის, წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის), კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირის, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) და იურიდიული დეპარტამენტის სარედაქციო განყოფილების უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) მიერ.

მუხლი 176

1. საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე.

2. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს პარლამენტი.

3. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიაში შემავალ პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტს, მაგრამ არანაკლებ სამისა, უნდა შეადგენდნენ იმ ფრაქციის

(ფრაქციების) წარმომადგენლები, რომელიც (რომლებიც) არ არის (არ არიან) გაერთიანებული უმრავლესობაში, ან/და დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები.

4. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიაში შემავალ პარლამენტის წევრთა წარმომადგენლობითი თანაფარდობის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ მისი ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით დაკომპლექტება შეუძლებელია.

5. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 1 თვის ვადაში განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებულ მასალებს.

6. პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის განხილვას იწყებს მისი გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

7. საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა იწყება საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის მიერ უფლებამოსილი წევრის მოხსენებით, რომელიც პლენარულ სხდომას გააცნობს საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგებს. ამის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტს პლენარულ სხდომას წარუდგენს ამ რეგლამენტის 173-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სუბიექტის (ხოლო 200000 ამომრჩევლის შემთხვევაში – საინიციატივო ჯგუფის) მიერ დანიშნული საინიციატივო ჯგუფის წევრი.

8. საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს და იღებს სამი მოსმენით კანონპროექტის განხილვისა და მიღებისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით. ამასთანავე, კანონპროექტი პირველი და მეორე მოსმენებით განიხილება და მიიღება ერთსა და იმავე სესიაზე, ხოლო მესამე მოსმენით განიხილება და მიიღება მხოლოდ პარლამენტის მომდევნო სესიაზე, მეორე მოსმენით მიღებიდან არანაკლებ 3 თვის შემდეგ. (29.11.2013. N1688)

მუხლი 177

1. არანაკლებ 30000 ამომრჩევლის ინიციატივით კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეები ქმნიან საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით.

2. საინიციატივო ჯგუფი პარლამენტის ბიუროს მიმართავს განცხადებით რეგისტრაციაში გატარების შესახებ. განცხადებას უნდა ერთოდეს კანონპროექტი და საინიციატივო ჯგუფის

წევრთა შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი, მისამართი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი. ეს მასალები პარლამენტის ბიუროს უახლოესი სხდომიდან 2 დღის ვადაში გადაეცემა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

3. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი პარლამენტის ბიუროს მიერ საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ მასალების გადაცემიდან 5 დღის ვადაში საინიციატივო ჯგუფს გადასცემს სარეგისტრაციო მოწმობას ან მოტივირებულ უარს ეუბნება რეგისტრაციაზე. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია ამ მუხლის პირველი ან/და მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა.

4. საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, სარეგისტრაციო მოწმობის მიღებამდე გამოითხოვოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ განცხადება.

5. საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღების დღიდან უფლებამოსილია დაიწყოს კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება.

6. ხელმოწერების შესაგროვებლად პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ დადგენილი ფორმის თითოეულ ფურცელს ხელს აწერს არა უმეტეს 50 ამომრჩევლისა. ხელმოწერების სისწორისთვის პასუხისმგებელი პირი აღნიშნავს ამომრჩევლის შემდეგ მონაცემებს: სახელს, გვარს, დაბადების წელს, თვესა და რიცხვს, მისამართს, პირად ნომერს, ტელეფონის ნომერს და ხელმოწერის თარიღს. ამ მონაცემებს ხელმოწერით ადასტურებს ამომრჩეველი. ყოველ ასეთ ფურცელს ხელმოწერით ადასტურებს ხელმოწერების შეგროვებისთვის პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ხელმოწერების სისწორისათვის და პასუხს აგებს ხელმოწერების გაყალბებისათვის. თითოეული პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროში. ამასთანავე, ერთ მუნიციპალიტეტში ხელმოწერების შეგროვებისთვის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება საკმარისია ერთხელ. მის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ყველა სხვა ხელმოწერების ფურცელი იმავე მუნიციპალიტეტში სანოტარო წესით დამოწმებას აღარ საჭიროებს.

7. შევსებულ ხელმოწერების ფურცლებს საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღებიდან 45 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტის ბიუროს, რომელიც 2 დღეში გადასცემს მათ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

8. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ხელმოწერების ფურცლების მიღებიდან 2 კვირის ვადაში შერჩევითი პრინციპის საფუძველზე ამოწმებს ხელმოწერების ნამდვილობას და შედეგებს წარუდგენს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას. თუ დადგინდა, რომ ხელმოწერები შესრულებულია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა 30000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე

პარლამენტის ბიურო უარს ეუბნება საინიციატივო ჯგუფს კანონპროექტის პარლამენტში განსახილველად წარდგენაზე. შესაბამისად, კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელება უარყოფილად ითვლება.

9. ბათილად მიიჩნევა ხელმოწერა, რომელიც:

ა) შესრულებულია ფურცელზე, რომელიც არ არის დადგენილი ფორმის ან/და რომელიც ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით არ არის დადასტურებული ან დამოწმებული;

ბ) არ შეიცავს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებს;

გ) შესრულებულია მოტყუებით ან სხვა პირის მიერ, თუ ამას წერილობით დაადასტურებს ამომრჩეველი.

10. კანონპროექტის წარდგენაზე უარის მიღების შემთხვევაში საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, 5 დღის ვადაში მიმართოს საერთო სასამართლოს სისტემაში არსებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს.

11. ამომრჩეველთა ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დადებითი დასკვნა და წარმოდგენილი კანონპროექტი წარედგინება პარლამენტის ბიუროს, ხოლო ამომრჩეველთა ხელმოწერების ფურცლები გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს.

12. არანაკლებ 30000 ამომრჩევლის ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლად პარლამენტში გამოდის საინიციატივო ჯგუფის მიერ დანიშნული საინიციატივო ჯგუფის წევრი, ხოლო თანამომხსენებლად – წამყვანი კომიტეტის წარმომადგენელი.

13. პარლამენტი არანაკლებ 30000 ამომრჩევლის ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს განიხილავს კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 275

პარლამენტის აპარატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) პარლამენტის პლენარული სხდომების მომზადება;

ბ) პარლამენტის, პარლამენტის ბიუროს, კომიტეტების, ფრაქციების, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის სამართლებრივი, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა საკითხების გადაწყვეტა;

გ) პარლამენტის წევრების პლენარული სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებული კანონპროექტებით უზრუნველყოფა;

დ) პარლამენტის პლენარულ სხდომებზე კანონპროექტებისა და სხვა საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა;

ე) პარლამენტის წევრებისათვის მათი უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ვ) პარლამენტის ბიუროს, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების დავალებების შესრულება;

ზ) პარლამენტის ხელმძღვანელობისა და პარლამენტის წევრებისათვის საინფორმაციო-საცნობარო და სხვა მასალების მომზადება, პარლამენტის მიერ მიღებული აქტების კრებულის გამოცემა;

თ) სესიებს შორის პერიოდში საჭირო საინფორმაციო მასალების მომზადება და პარლამენტის წევრებისათვის მიწოდება;

ი) პარლამენტის პლენარული სხდომის და პარლამენტის ბიუროს სხდომის ოქმებისა და სტენოგრამების წარმოება;

კ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პარლამენტის, კომიტეტების, ფრაქციების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების დოკუმენტების გამოქვეყნება და გამუქება;

ლ) პარლამენტში სხვა სახელმწიფოთა დელეგაციების, ცალკეულ სახელმწიფო, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, დიპლომატიურ წარმომადგენელთა მიღების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

მ) პარლამენტის თავმჯდომარის, ოფიციალური საპარლამენტო დელეგაციებისა და პარლამენტის წევრების საზღვარგარეთ გამგზავრების ორგანიზება;

ნ) პარლამენტში ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;

ო) პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა; პარლამენტის ფინანსური სახსრებისა და მატერიალური საშუალებების ხარჯვის აღრიცხვა და ანალიზი;

პ) პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო რიცხოვნობის უზრუნველყოფა, პარლამენტის აპარატში საკადრო პოლიტიკის გატარების მეთოდურ-პრაქტიკული ორგანიზება, მართვა, კოორდინირება და კონტროლი, საიდუმლო საქმისწარმოების წარმართვა;

ჟ) პარლამენტში თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, გამართულად მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა, პარლამენტის აპარატის საქმიანობის ავტომატიზება და კომპიუტერული მომსახურება;

რ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში პარლამენტის წარმომადგენლობა;

ს) პარლამენტის სასახლეში პარლამენტის პლენარული სხდომებისა და კომიტეტების სხდომების მიმდინარეობისას დარბაზებში წესრიგის დაცვა;

ტ) პარლამენტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის საფინანსო უზრუნველყოფა და დაგეგმვა;

უ) საზოგადოების ინფორმირება პარლამენტის მისიის, საქმიანობისა და პერსონალის შესახებ;

ფ) პარლამენტის ვებგვერდის მართვა, განვითარება და ტექნიკური უზრუნველყოფა;

ქ) პარლამენტის წევრების, პარლამენტის სტრუქტურების საქმიანობის კვლევით-საკონსულტაციო და საინფორმაციო-საცნობარო მომსახურება;

ღ) საქართველოს კანონმდებლობით პარლამენტის გამგებლობისთვის მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის ხელის შეწყობა.